განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

ბრძანება

MES 3 23 0001783716

29/12/2023

თბილისი

„გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ყ" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, ,,თ", „ლ“ და ,,ყ" ქვეპუნქტების, „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 დეკემბრის N2199 განკარგულების, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 მაისის N533704 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 28 დეკემბრის N1778090 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04 02 03) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოადგილე
ნოდარ პაპუკაშვილი

დანართი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება

პროგრამული კოდი - 32 04 02 03

2024 წ.

მუხლი 1. პროგრამის დასახელება და განხორციელების ვადები

1.1. პროგრამის დასახელება	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	2024 წელი
1.3. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	5,000,000.00 ლარი
1.4. პროგრამის ხელმძღვანელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილი
1.5. ბიუჯეტის განმკარგავი	უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ნინო წერეთელი
1.6. ოპერაციული მენეჯერი	სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკა გვარამია

მუხლი 2. პროგრამის აღწერა

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისათვის (შემდგომ – სტუდენტები) განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ფინანსური ხელშეწყობის გზით.

მუხლი 3. პროგრამის ზოგადი მიზანი

პროგრამის მიზანია სტუდენტების სწავლის ხელშეწყობა სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსების გზით, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებული უნივერსიტეტების: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად მიღებისათვის სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფა.

მუხლი 4. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

1. 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსებისთვის, ამ პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, დუშეთის, საჩხერის, მესტიის, ზუგდიდის, წალენჯიხის (სოფ: პალური, ნაშამგუ, ოლორი, ქალაღალი, წყოუში, ეწერფერდი, ფახულანი, მუჟავა) და ონის (სოფ: გლოლა, გომი, ღარი, ირი, სხანარი, ქვედი, წედისი, ჯინჭვისი) მუნიციპალიტეტებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხნენ და სწავლობენ აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის და მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2. 2023 წლის ოქტომბერის, ნოემბერის, დეკემბრის და 2024 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფისთვის პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს ამ პროგრამის ფარგლებში სწავლის საფასურით დაფინანსებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

3. 2023 წლის ოქტომბერის, ნოემბერის, დეკემბრის და 2024 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფისთვის პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ ამავე სოფლების სკოლებში ან შესაბამისი საფეხურის არ არსებობის გამო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლებების სკოლებში და რომლებმაც მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს პორტალზე http://socreg.mes.gov.ge, ელექტრონული განცხადება, მაგრამ ვერ მოიპოვეს დაფინანსება ამ პროგრამის ფარგლებში, რადგან სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე ან მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში და სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის“ 2023 წლის 17-20 ნოემბრის N27 სხდომის გადაწყვეტილებით 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსებისთვის განიხილება გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის, მესტიის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების მიერ მხოლოდ ელექტრონულ პორტალზე http://socreg.mes.gov.ge წარდგენილი განცხადებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 13 დეკემბრის №1708591 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული თარიღიდან 2023 წლის 14 დეკემბრიდან 2024 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

2. პორტალი წარმოადგენს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სერვერზე განთავსებულ ბაზას. პორტალზე რეგისტრაციის და განცხადების წარდგენის დროს სტუდენტი თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე და უთითებს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირადი ნომერი;

ბ) სახელი, გვარი;

გ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ე) მუნიციპალიტეტი და სოფელი;

ვ) 2 ან მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შემთხვევაში, სტუდენტმა ასევე უნდა მონიშნოს დაწესებულება, სადაც სურს დაფინანსების მიღება.

3. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის საფასურით დაფინანსება შეიძლება მოიპოვონ იმ სტუდენტებმა, რომლებიც წინა წლებში იყვნენ აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები 2023-2024 სასწავლო წელსაც აგრძელებენ სწავლას.

4. სტუდენტები, რომლებიც 2023-2024 სასწავლო წელს პირველად ერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში, დაფინანსებას მოიპოვებენ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო სამი წელი ისწავლეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლებში ან შესაბამისი საფეხურის არ არსებობის გამო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლებების სკოლებში.

5. სამინისტრო უფლებამოსილია ამ პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტებზე გამოითხოვოს პერსონალური ინფორმაცია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან. საჭიროების შემთხვევაში, ასევე, გამოითხოვოს პერსონალური ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

6. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სამინისტროს მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია, მიაწოდოს სამინისტროს კორესპონდენციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
7. პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტების პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამინისტრო უფლებამოსილია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ინფორმაცია სტუდენტების შესახებ გადაუგზავნოს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის, ზუგდიდის, მესტიის მუნიციპალიტეტებს შემდეგი ინფორმაციის დასადასტურებლად: ცხოვრობენ თუ არა სტუდენტები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და ამ სოფლებში საშუალო საფეხურის სკოლის არარსებობის შემთხვევაში სტუდენტის უახლოესი დასახლების სკოლაში სწავლის შემთხვევაში, ითვლება თუ არა სოფელი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების უახლოეს დასახლებად.
8. გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის, ზუგდიდის, მესტიის მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან სამინისტროს მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია, მიაწოდოს სამინისტროს კორესპონდენციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
9. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის საფასურით დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ იმ სტუდენტმა, რომელსაც სახელმწიფო არ აფინანსებს სახელმწიფო სასწავლო ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით ან აფინანსებს ნაწილობრივ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10. პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის საფასურით დაფინანსებას ვერ მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ და ფინანსდებიან ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროგრამულ მიმართულებაზე/მიმართულებებზე, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო.
11. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ასევე მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 2250 ლარისა, ხოლო სემესტრში არაუმეტეს 1125 ლარისა.
12. ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის სა-განმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, სწავლის საფასური შეევსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 2250 ლარამდე.
13. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის დაფინანსება გაიცემა, ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის პირველი ნოემბრის მონაცემების შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის შემთხვევაში და 2023 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობის შესაბამისად, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის შემთხვევაში.
14. 2023-2024 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსება არ გაიცემა, თუ ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით სტუდენტებს უფიქსირდებათ აქტიური სტატუსი 2023 წლის პირველი ნოემბრის ან 15 ნოემბრის მდგომარეობის შესაბამისად, ხოლო სსიპ

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის დროისთვის აქვთ კურსდამთავრებულის სტატუსი ან შეჩერებული/შეწყვეტილი სტატუსი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, აღნიშნულ სტუდენტებს შეუჩერდათ/შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი 2023-2024 სასწავლო წლის პირველ სემესტრის დასაწყისიდან და აღნიშნულ სემესტრში არ უფიქსირდებათ ფინანსური დავალიანება.

15. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრისთვის დაფინანსება გაიცემა, ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2024 წლის პირველი აპრილის მონაცემების შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის და მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის შემთხვევაში.

16. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში დაფინანსება არ გაიცემა, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით სტუდენტებს უფიქსირდებათ აქტიური სტატუსი 2024 წლის პირველი აპრილის მდგომარეობის შესაბამისად, ხოლო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის დროისთვის აქვთ კურსდამთავრებულის სტატუსი ან შეჩერებული/შეწყვეტილი სტატუსი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, აღნიშნულ სტუდენტებს შეუჩერდათ/შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასაწყისიდან და აღნიშნულ სემესტრში არ უფიქსირდებათ ფინანსური დავალიანება.

17. პროგრამის ფარგლებში მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

18. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება ამ პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

19. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ ამავე სოფლების სკოლებში ან შესაბამისი საფეხურის არ არსებობის გამო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლებების სკოლებში და რომლებმაც მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს პორტალზე http://socreg.mes.gov.ge, ელექტრონული განცხადება, მაგრამ ვერ მოიპოვეს დაფინანსება ამ პროგრამის ფარგლებში, რადგან სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე ან მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში და სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

20. ამ მუხლის მე-17 და მე-19 პუნქტების დაცვით 2023-2024 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის სწავლის საფასურით დაფინანსების შესახებ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დამტკიცებულ სიებში ამ მუხლის 22-ე პუნქტით და ასევე 23-ე პუნქტით განსაზღვრული სტუდენტებისთვის, სოციალური სტიპენდიის ოდენობებს უნივერსიტეტებისთვის გადასაცემი ასიგნებების ფარგლებში, 2023-2024 სასწავლო წლისთვის ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

21. პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 - მე -3 პუნქტებით გათვალისწინებული სოციალური სტიპენდიის ოდენობა ერთ სტუდენტზე შეადგენს თვეში 300 ლარს.
22. ამ მუხლის 21-ე და 24-ე პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების სიები სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ იგზავნება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
23. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება 2023-2024 სასწავლო წლისთვის გაიცემა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგი/შედეგები

1. 2023-2024 სასწავლო წელს სწავლის საფასურით უზრუნველყოფილი იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის, ზუგდიდის, მესტიის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები.
2. 2023 წლის ოქტომბერის, ნოემბერის, დეკემბრის და 2024 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეების სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება ამ პროგრამის ფარგლებში სწავლის საფასურით დაფინანსებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.
3. 2023 წლის ოქტომბერის, ნოემბერის, დეკემბრის და 2024 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეების სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ ამავე სოფლების სკოლებში ან შესაბამისი საფეხურის არარსებობის გამო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლებების სკოლებში და რომლებმაც მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს პორტალზე http://socreg.mes.gov.ge, ელექტრონული განცხადება, მაგრამ ვერ მოიპოვეს დაფინანსება ამ პროგრამის ფარგლებში, რადგან სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე ან მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში და სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ უნივერსიტეტებში: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მუხლი 7. პროგრამის ამოცანები, ვადები და აქტივობები

№	ამოცანა/შედეგი	აქტივობები	ვადები
1	2023-2024 სასწავლო წლის სწავლის დაფინანსებისთვის გამყოფი ხაზის	2023-2024 სასწავლო წლის დაფინანსებისთვის	2024 იანვარი

	მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის ელექტრონულ პორტალზე http://socreg.mes.gov.ge განცხადებების მიღება.	სტუდენტთა ელექტრონული განცხადებების მიღება	
2	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის დაფინანსება და სტუდენტთა სოციალური სტიპენდიით უზრუნველყოფა	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წელს დასაფინანსებელ სტუდენტთა სიებისა და 2023-2024 სასწავლო წლის სოციალური სტიპენდიატთა რაოდენობებისა და თანხის ოდენობების განსაზღვრა.	2024 წლის იანვარი - ივლისი

მუხლი 8. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

№	პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
1	გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის, ზუგდიდის, მესტიის მუნიციპალიტეტები	გადაამოწმებენ და ადასტურებენ სტუდენტები ცხოვრობენ თუ არა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და ასევე აღნიშნულ სოფლებში საშუალო საფეხურის სკოლის არარსებობის შემთხვევაში, არის თუ არა სოფელი ან მუნიციპალიტეტი (სადაც სწავლობდა სტუდენტი) გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლება.
2	უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო	უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სიების დამუშავებას. 1. მუნიციპალიტეტებთან აზუსტებს შემდეგი სახის ინფორმაციას: - სტუდენტი ცხოვრობს თუ არა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში; პროგრამაში პირველად ჩართვის შემთხვევაში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საშუალო საფეხურის სკოლის არ არსებობის შემთხვევაში, არის თუ არა სოფელი ან მუნიციპალიტეტი, რომლის სკოლაშიც სწავლობდნენ ბოლო 3 წელი და მიიღეს ატესტატები სტუდენტებმა, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან უახლოესი დასახლება.

		2. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოითხოვს სტუდენტებზე შემდეგ ინფორმაციას: - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; - სწავლის საფეხური; - სტუდენტის სტატუსი 2023 წლის 1 ნოემბრის, 15 ნოემბრის (მაგისტრების შემთხვევაში), 2024 წლის 1 აპრილის და ინფორმაციის გამოთხოვის თარიღის მდგომარეობით; - საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია; - სარგებლობს თუ არა სამაგისტრო გრანტით ან სახელმწიფო სასწავლო გრანტით, ოდენობის მითითებით 2023-2024 სასწავლო წლის პირველ ან მეორე სემესტრში; - წინა წლებში ფინანსდებოდა თუ არა ამ პროგრამის ფარგლებში; - ფინანსდება თუ არა ბაკალავრიატში, სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; - სწავლის საფასური; - პირველად ჩართული ბენეფიციარების შემთხვევაში, რომელ სკოლებში სწავლობდნენ ბოლო 3 წელი და საიდანაც გაიცა ატესტატი. საშუალო საფეხურზე მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, მობილობის თარიღის და სკოლის მითითებით. 3. პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტებისთვის, განსაზღვრავს სოციალური სტიპენდიის ოდენობებს უნივერსიტეტებისთვის გადასაცემი ასიგნებების ფარგლებში, 4. ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს პროგრამის ფარგლებში გამოცემული აქტების შესრულებასთან დაკავშირებით.
3	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	1.უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას სამინისტროსთვის. 2.ახორციელებს პორტალის პროგრამულ უზრუნველყოფას. 3.უზრუნველყოფს პორტალის უსაფრთხოებასა და მაღალტექნოლოგიურობას.
4	ეკონომიკური დეპარტამენტი	ფინანსური უზრუნველყოფა
5	იურიდიული დეპარტამენტი	შესაბამისი ინიცირების საფუძველზე მინისტრის ინდივიდუალური

		ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება

მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**ბიუჯეტი**
32 04 02 03	**გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება**	**5,000,000.00**
	სხვა ხარჯები	**5,000,000.00**

მუხლი 10. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

10.1 საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი

- 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 1836 სტუდენტი;
- 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრში დაფინანსდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 2746 სტუდენტი.
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებული უნივერსიტეტების სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 329 სტუდენტი უზრუნველყოფილია 2023 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სოციალური სტიპენდიით.

10.2. მიზნობრივი მაჩვენებელი

- პროგრამის ფარგლებში ჩართული ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსებით.
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებული უნივერსიტეტების სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების 100% უზრუნველყოფილია სოციალური სტიპენდიით.

10.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

ცდომილების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 10%-ს.

10.4. შესაძლო რისკები

- პროგრამაში ჩართული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების რაოდენობის ცვლილება 2023-2024 სასწავლო წლის სემესტრების მიხედვით.
- პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან სტუდენტთა მონაცემების შეუსაბამობა.